

თავი III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

ბოლო პერიოდში 2013 წელი იყო ის გამონაკლისი, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები არ განხორციელებულა და მხარჯავი დაწესებულებები მთელი წლის განმავლობაში ხარჯვას ახორციელებდნენ იმ საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, რომლებიც პარლამენტის მიერ დამტკიცდა 2012 წლის დეკემბერში.

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მაქსიმალურად იყო ორიენტირებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, შესაბამისად წლის განმავლობაში განხორციელდა პენსიების ზრდა, განახლდა ე.წ. „რეგრესული“ პენსიების გაცემა, აღმოიფხვრა ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლების კომპენსაციების მოცულობებში არსებული უთანასწორობა, გაიზარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარებები, გაორმაგდა სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოველთვიური შემწეობა. ასევე განხორციელდა საჯარო სკოლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების ზრდა.

გარდა სოციალური პროგრამებისა, 2013 წლის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხები იქნა გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, თუმცა წინა წლებისგან ძირეულად განსხვავებულია 2013 წელს ამ მიზნით გამოყოფილი თანხების მიმართულებები, კერძოდ გაუმართლებელი მშენებლობების დასაფინანსებლად ასეულობით მილიონის ხარჯვის ნაცვლად, 2013 წელს თანხები ძირითადად მიიმართა ისეთი პროექტების განსახორციელებლად, რომელიც ერთის მხრივ აწესრიგებს მუნიციპალურ და რეგიონალურ ინფრასტრუქტურას, ხოლო მეორეს მხრივ განახლებული ინფრასტრუქტურა გრძელვადიან პერიოდში ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აქტივობას.

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 8 748 500.0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8 104 217.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.6%-ია.

2013 წელს გამოყოფილი ასიგნებების გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით, საკასო შესრულება 644 282,4 ათასი ლარით ნაკლებია. აუთვისებლობის ძირითადი ნაწილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებშია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 003 599.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ 798 595.1 ათასი ლარი (2012 წელთან შედარებით 143 519.9 ათასი ლარით მეტი), შესაბამისად აუთვისებელი თანხა შეადგენს 205 004.7 ათას ლარს. აუთვისებელი თანხა ძირითადად 2 პროგრამაზე მოდის, კერძოდ:

- **რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის (25 03)** ფარგლებში აუთვისებლობამ შეადგინა 94 764.7 ათასი ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალის მშენებლობის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული ოგანიზაციების მიერ დონორისათვის წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შეჩერების (დაწუნების) გამო პროექტის განხორციელება გადავადდა;
- **წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (25 04)** ფარგლებში აუთვისებლობამ შეადგინა 67 261.9 ათასი ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გაჭიანურდა წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტის II (EIB,EU) - ფარგლებში

დონორთან საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება, საპროექტო მაჩვენებლების ცვლილების გამო რამოდენიმე პროექტი გადავადდა, ასევე კონტრაქტორ ორგანიზაციებში შექმნილი ფინანსური სირთულეების გამო სამუშაოების შესრულება განკუთვნილ დროში ვერ განხორციელდა (გრაფიკის ჩამორჩენა);

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებების დაზუსტებულმა გეგმამ 2 345 000.0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ 2 126 457.0 ათასი ლარი (2012 წელთან შედარებით 332 594.2 ათასი ლარით მეტი), შესაბამისად აუთვისებელი თანხა შეადგენს 218 543.0 ათას ლარს. აუთვისებელი თანხა ძირითადად 3 პროგრამაზე მოდის, კერძოდ:


- **ჯანმრთელობის დაზღვევის (35 03 01)** ფარგლებში აუთვისებლობამ შეადგინა 142 840.9 ათასი ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ბენეფიციარების გარკვეული ნაწილი გახდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების მოსარგებლე, რის შემდგომაც უფრო ეფექტურად ხორციელდება გამოყოფილი თანხების ხარჯვა;
- **მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (35 03 05)** ფარგლებში აუთვისებლობამ შეადგინა 18 364.1 ათასი ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ განხორციელდა პროგრამის ხარჯთეფექტური ადმინისტრირება. კერძოდ, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო შემთხვევებს აფინანსებდა ფაქტიური ხარჯის მიხედვით, დადგენილი წესით, სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. 2013 წელს სამედიცინო დაწესებულებების მიერ მოთხოვნილი დაფინანსების ოდენობების სააგენტოს მიერ დასაბუთებული კორექტირების შედეგად დაზოგილმა თანხამ შეადგინა დაახლოებით 13 მილიონი ლარი (პროგრამის ადმინისტრირების პროცესი მოიცავს მოთხოვნილი დაფინანსების შესაბამისობის დადგენას რეალურად ასანაზღაურებელი თანხის მოცულობასთან, რის შემდეგაც (როდესაც მოთხოვნილი თანხა არ ემთხვევა რეალურად ასანაზღაურებელ ღირებულებას) შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე ხდება თანხების კორექტირება და ანაზღაურება), რაც 2013 წლის ბიუჯეტში, შესაბამისი პროგრამის ფარგლებში დარჩენილი აუთვისებელი თანხის, თითქმის 3/4-ს შეადგენს. გარდა ამისა, პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარსადგენად აქვთ სამთვინი ვადა, ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა, 2013 წლის ოქტომბრის თვის შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებელი თანხაც, თუმცა ასეთი მოთხოვნა არ დაფიქსირებულა;
- **სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (35 04)** ფარგლებში აუთვისებლობამ შეადგინა 27 471.5 ათასი ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიზნით გამოცხადებული ტენდერის პროცედურების დასრულება ვერ მოესწრო 2013 წელს (მოცემულ ტენდერთან დაკავშირებით, რამდენიმე სარჩელი იქნა წარდგენილი სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, თუმცა არც ერთი არ დაკმაყოფილდა), ჩაიშალა სასწრაფო-გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მანქანების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი, ასევე ვერ მოესწრო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკების მშენებლობის განხორციელება.

გარდა სამინისტროებისა, აუთვისებლობა დარჩა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებში მითითებული იყო ის მაქსიმალური თანხა, რომელიც უნდა მიმართულიყო კონკრეტული პროექტის განსახორციელებლად, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხების

გადარიცხვა ხორციელდებოდა მათ მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით. იმ პროექტებზე, რომლებზეც 2013 წლის ბოლომდე ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა ვერ მოახერხეს ხელშეკრულებების გაფორმება, თანხების გადარიცხვა არ განხორციელებულა.

საქართველოს 2012-2013 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 7 248 474.4 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ხარჯების დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 7 005 579.1 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 96.6%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 545 615.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.4%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 720 918.3 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 889 585.6 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 123.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 767 632.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86.3%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა


„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 229 725.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 317 897.7 ათასი ლარი, რაც

ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 138.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 277 105.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 87.2%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 549 382.3 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 535 437.6 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 97.5%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 513 865.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.0%-ია.

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
ასიგნებების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. აპრილში განხორციელდა საპენსიო ასაკის საფუძველზე დანიშნული პენსიის ზრდა, კერძოდ ყველა ასაკით პენსიონერისა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პენსიის ოდენობა განისაზღვრა 125 ლარის ოდენობით, ხოლო სექტემბრიდან 150 ლარის ოდენობით. ასევე, განხორციელდა სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეთა კომპენსაციის გადაანგარიშება. სულ 2013 წელს საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 1 148.8 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ლატაკი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა,

ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და აგრეთვე დაიწყო შრომითი მოვალეობის შეასრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდში (ივლისიდან) გაორმაგდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის გათვალისწინებული საარსებო შემწეობის ოდენობა და განისაზღვრა ერწევრიანი ოჯახისათვის 60 ლარის, ხოლო ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე - 48 ლარის ოდენობით. ასევე, ზრდა შეეხო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და სხვა მიზნობრივ ჯგუფებს. სულ სოციალური დახმარებების გასაცემად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართული იქნა 471.8 მლნ ლარი.

- ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამიზნე ჯგუფების, მათ შორის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების, დევნილი მოსახლეობის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების, ასევე 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, საპენსიო ასაკის მოსახლეობის, სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მიიმართა 239.5 მლნ ლარი.

- 2013 წლის თებერვლიდან დაიწყო „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა“, რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, ამბულატორიული მომსახურების მოხმარების გაზრდა ძვირადღირებული და მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურების მოხმარების რაციონალიზაციის მიზნით, ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პირველი ივლისიდან გაფართოვდა მომსახურების მოცულობა და პროგრამამ მოიცვა ასევე გეგმიურ ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.).

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;

- საანგარიშო პერიოდში 8 სამხედრო მოსამსახურე, რომლებმაც სამშვიდობო მისიებში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მიღებული ტრავმის შედეგად დაკარგეს სხვადასხვა კიდური, უზრუნველყოფილი იქნენ საპროთეზო და სამედიცინო მომსახურებით ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 866.0 ათასი აშშ დოლარი. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და Peter Harsch Prosthetics, კალიფორნიის კორპორაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს სულ 19 მოსამსახურისათვის აღნიშნული მომსახურების შესყიდვას და შესაბამისად, 2014 წლის განმავლობაში ყველა მათგანი უზრუნველყოფილი იქნება საპროთეზო და სამედიცინო მომსახურებით.

• განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაღუპული ან მიღებული ტრავმების შედეგად გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებმა ერთჯერადი დახმარების სახით მიიღეს 100.0 ათასი ლარი. ამ მიზნით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 2 665.0 მლნ. ლარი.

• იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (არსებულ უბნებში) შენობების, წყალმომარაგების სისტემის, საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის, სანიაღვრე არხების, სასმელი წყლის შიდაკომუნიკაციური ქსელების, გზებისა და შიდა ქუჩების რეაბილიტაციაზე და ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობაზე მიმართული იქნა 98.4 მლნ ლარამდე;

• სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით გადამოწმდა 128 ობიექტი და აღწერილ იქნა 2404 ოჯახი. საანგარიშო პერიოდში დევნილთა ოჯახებს საკუთრებაში გადაეცა 921 ბინა. ასევე, შეძენილ იქნა ინდივიდუალური სახლები 50 დევნილი ოჯახისათვის;

• დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების რეაბილიტაცია, ასევე მიმდინარეობდა კომპაქტურად განსახლების ობიექტების გამოსყიდვა. საანგარიშო პერიოდში რეაბილიტირებულ და გამოსყიდულ შენობებში გადაყვანილ იქნა 1466 დევნილი ოჯახი;

• სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 15 ობიექტზე, ხოლო მიმდინარეობდა 10 ობიექტზე ქ. თბილისში, ქ. რუსთავეში, ქ. ქუთაისში, ქ. ფოთში და გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სახურავის შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა 20 ობიექტს, წყალკანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 9 ობიექტს, ხოლო ხანძრით გამოწვეული დაზიანებული შიდა ფართების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 ობიექტს. ქ თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით გარემონტდა 19 ობიექტი;

• ფინანსური დახმარება გაეწია 1811 დევნილს, ასევე ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N49-ში მდებარე კომპაქტურად განსახლების ობიექტის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებულ 26 ოჯახს და სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან 160 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით;

• კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს დაუფინანსდათ კომუნალური ხარჯები;

• „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ ქვეპროგრამის ფარგლებში ჩართული იყო 154 ინგლისური ენის მოხალისე და 10 ჩინური ენის მოხალისე მასწავლებელი, რომლებიც გადანაწილდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში. ასევე, შეირჩა მაღალმთიანი და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის 47 ინგლისური ენის ადგილობრივი მოხალისე მასწავლებელი;

• მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და პროფესიულ კოლეჯებში დასაქმებულია 1 286 მანდატური. მანდატურები გადანაწილებულნი იყვნენ 400 საჯარო, 4 კერძო სკოლაში და 3 პროფესიულ სასწავლებელში. ამ მიზნით მიიმართა 10 მლნ ლარამდე;

• „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის 6.0 მლნ-მდე ერთეული სასკოლო სახელმძღვანელოსა და სამუშაო რვეულების გადასაცემად გაწეული ხარჯების დაფინანსების მიზნით მიიმართა 19.1 მლნ ლარი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის დროს პროგრამის ბენეფიციარებად განსაზღვრული იყვნენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, ასევე სამ და მეტშვილიანი ოჯახების და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილები. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების - განათლების ხარისხის, ღიაობისა და

ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, გაფართოვდა პროგრამის ბენეფიციართა კატეგორია და დაემატა საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლე.

- კონფლიქტის ზონებში მცხოვრები პედაგოგების და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების მიზნით მიიმართა 2.2 მლნ ლარი;

- „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო იმ 900 საჯარო სკოლის 50 000-მდე მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში (სოფელი, დაბა), სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია. ამ მიზნით სულ მიიმართა 7.7 მლნ ლარამდე;

- პროგრამის „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“ ფარგლებში დასრულდა 1 საჯარო სკოლისა და 1 პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა, 24 საჯარო სკოლის და 1 პროფესიული სასწავლებლის სტიქიის შედეგად მიყენებული დაზიანების რეაბილიტაცია, 7 საჯარო სკოლის გამაგრებითი სამუშაოები, 63 საჯარო სკოლის და 1 პროფესიული სასწავლებლის გაზიფიცირების სამუშაოები. სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 547 საჯარო სკოლის შენობას, 2 პროფესიულ სასწავლებელს და 2 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. საჭირო ინვენტარით აღიჭურვა 13 პროფესიული სასწავლებელი და 1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე საანგარიშო პერიოდში მიიმართა 42.9 მლნ ლარი;

- „სპორტსმენათა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაეცა 490 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დამხმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 280-ზე მეტმა ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით;

- სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სპორტის 45 სახეობაში დაფინანსდა 75 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 95 სასწავლო - საწვრთნელი შეკრება, მიღებულ იქნა მონაწილეობა 110 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში: მათ შორის 30 ევროპის ჩემპიონატზე და 16 მსოფლიო ჩემპიონატზე, მოპოვებულ იქნა 412 მედალი, მათ შორის 127 ოქრო, 113 ვერცხლი, 172 ბრინჯაო;

- დაფინანსდა ანაკლიის ბანაკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯები, განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად განხორციელდა სამუშაოები პროგრამისთვის „მომავლის ბანაკი“ 2 000 ახალგაზრდის შესარჩევად - 20 ივლისიდან 21 სექტემბრამდე ახალგაზრდების აქტიური დასვენების უზრუნველსაყოფად.

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ჯადმიანი, ზაქანი, ხადი და კაიშაური) მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული 9.2 მლნ მზ ბუნებრივი აირის ღირებულება 3.9 მლნ. ლარის ოდენობით.

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის (KfW, EIB, EBRD) სამუშაოები, რომელზეც მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 71.4 მლნ. ლარი.

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გადაეცა 812 ერთეული უძრავ-მომრავი ქონება და კომპანიების წილები;

- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ოპტიმიზაციის მიზნით, დასრულდა საქმის წარმოება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში მყოფი 10

გადახდისუუნარო საწარმოზე, შერწყმის მიზნით რეორგანიზებულ იქნა 6 საწარმო, ხოლო 2 საწარმოს სახელმწიფოს 100%-იანი წილი შეტანილ იქნა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალში;

- სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის დაჩქარების ხელშეწყობისა და ქვეყნის ეკონომიკაში კერძო სექტორის გაძლიერების მიზნით ელექტრონული აუქციონის შედეგად გაყიდულ იქნა 247 ობიექტი (მათ შორის, საქართველოს რეგიონებში არსებული ქონება - 208) და განხორციელდა 3 საწარმოს სახელმწიფო 100%-იანი წილის პრივატიზება.

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (მათ შორის, მიწის რეაბილიტაციისათვის საჭირო ტექნიკის) შესაძენად, მექანიზატორების გადამზადებისათვის და სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში ვალდებულებების დაფარვისათვის მიიმართა 65.5 მლნ ლარი.

- სადემონსტრაციო ნაკვეთებზე მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების მოყვანისათვის, სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირებისათვის, საჩითილე მეურნეობის განვითარებისათვის, სათესლე ხორბლის გადამამუშავებელი საწარმოს რეაბილიტაციისათვის, ხილის სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობისათვის, სანერგე მეურნეობების განვითარებისა და სათესლე ხორბლის საცდელი მეურნეობის მოწყობისათვის მიიმართა 3.9 მლნ ლარი.

- სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის მიიმართა 61.5 მლნ ლარი. მათ შორის: სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენის მიზნით 49.9 მლნ ლარი, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯების და კომპანიის სხვა მიმდინარე ხარჯების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით 11.1 მლნ ლარი, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სარწყავი სისტემებიდან ბენეფიციარების წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად ქვემო ნიქოში მდებარე სატუმბი სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად - 0.5 მლნ ლარი.

- კახეთის რეგიონში ღვინის კომპანიების მიერ მიღებული და გადამამუშავებულია 89.8 ათასი ტონა ყურძენი, მათ შორის: რქაწითელი - 62,0 ათასი ტონა, საფერავი - 25,8 ათასი ტონა, კახური მწვანე - 2,0 ათასი ტონა. ყურძნის მიღება-გადამამუშავების პროცესში მონაწილეობას ღებულობდა ღვინის 81 კომპანია, რომლებზედაც სუბსიდიების სახით ანაზღაურებულია 32.1 მლნ ლარამდე.

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯული იქნა 523.0 მლნ ლარი. მათ შორის:

- გზების პერიოდული შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე - 147.5 მლნ ლარი.
- გზების მიმდინარე შეკეთებაზე და შენახვაზე ზამთრის პერიოდში - 31.1 მლნ ლარი.
- ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობაზე - 267.4 მლნ ლარი.

- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დახარჯულ იქნა 127.1 მლნ ლარი, მათ შორის:

- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 82.7 მლნ ლარი, მათ შორის:

- რეგიონებში წყალმომარაგების მხარდაჭერაზე - 24.4 მლნ ლარი.
- წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი - 22.9 მლნ ლარი.
- ურბანული მომსახურების გაუმჯობესებაზე - 23.0 მლნ ლარი.
- ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციაზე - 11.2 მლნ ლარი.

- ჩატარდა საქართველოს პარლამენტის შუალედური და პრეზიდენტის არჩევნები დემოკრატიულ, მშვიდ, ღია და გამჭვირვალე გარემოში, არჩევნებზე მიიმართა 31.2 მლნ ლარამდე;
- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში” ცვლილებების შეტანის თაობაზე” შეთანხმების შესაბამისად 2013 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წლის 15 მარტს გამოშვებული 520 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 480 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 6 პროცენტი სარგებლის გადახდით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის წლიური 8.5 პროცენტი სარგებლის გადახდით. ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2013 წლის 15 მარტს განხორციელდა 2009 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 8 000.0 ათასი ლარის ოდენობით, 2013 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2010 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 13 000.0 ათასი ლარის ოდენობით, 2013 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა 2011 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 7 000.0 ათასი ლარის ოდენობით და 2013 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა 2011 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 7 000.0 ათასი ლარის ოდენობით.
- საქართველომ მთლიანად დაფარა 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციის ძირითადი თანხის დარჩენილი ნაწილი 106.8 მლნ ლარის ოდენობით;
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიკა 1 840 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 1 248.2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 193 959.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 1 187 569.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.5%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 18.1%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 14.7%-ს შეადგენს.


„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 796 103.1 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 765 801.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.2%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.7%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 9.4%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 90 739.5 ათასი ლარი;
- მივლინებები - 69 146.6 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 155 296.3 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 17 240.2 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 69 908.9 ათასი ლარი;

- სამედიცინო ხარჯები - 27 630.6 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 38 966.2 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 107 430.9 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 12 111.4 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 177 330.8 ათასი ლარი.

2012-2013 წლების საქონელი და მომსახურების მუხლის ფაქტიური შესრულება



„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 260 175.4 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 233 042.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.6%-ს შეადგენს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 3.6%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 134 267.3 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 98 550.3 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 247 388.4 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 242 552.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.0%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 3.7%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობისა და სამეცნიერო კვლევების პროგრამები - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 16 120.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 131.4%-ს შეადგენს;
- ✓ სახელოვნებო განათლებისა და ხელოვნების განვითარების ღონისძიებები - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 49 373.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ს შეადგენს;
- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 33 894.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.2%-ს შეადგენს;
- ✓ სასულიერო განათლება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 12 606.5 ათასი ლარი
- ✓ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე ჯამურად მიიმართა 12 500.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.7%-ს შეადგენს;
- ✓ რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები - ჯამურად მიიმართა 32 046.5 ათასი ლარი.
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - ჯამურად მიიმართა 11 600.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 083 320.4 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (1 161 012.6 ათასი ლარი) 93.3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 16.6%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 2 083 043.6 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (2 266 417.7 ათასი ლარი) 91.9%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 31.8%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 1 148 791.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური დახმარებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 471 847.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიის (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები, დევნილი მოსახლეობა, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები, ასევე 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვები, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალები და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცები (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მკვეთრად გამოხატული

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) ჯანმრთელობის დაზღვევა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 239 539.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 62.6 %-ს შეადგენს;


- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სამედიცინო მომსახურების პროგრამები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 113 653.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91.5%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 69 068.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79.5%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 080 522.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 950 285.5 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 87.9%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 14.5%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 11.7%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (მ.შ დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 89 634.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.5%-ს შეადგენს;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 416 958.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;
- სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის განახლება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 65 522.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- სასოფლო - სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 2 642.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს.


2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
ხარჯების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური

აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

2012-2013 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიური შესრულება
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 726 810.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 863 465.7 ათასი ლარი) 92.7%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 23.6%-ს შეადგენს. მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 313 156.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (329 708.1 ათასი ლარი) 95.0%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 27 154.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (43 254.6 ათასი ლარი) 62.8%-ია;
- ✓ ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 25 456.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 532.8 ათასი ლარი) 99.7%-ია;
- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 232 817.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (259 950.0 ათასი ლარი) 89.6%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ (ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ტრანსფერები) შეადგინა 1 068 455.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 144 039.8 ათასი ლარი) 93.4%;

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 59 769.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (60 980.4 ათასი ლარი) 98.0%-ია.
- თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 640 059.3 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 630 321.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.5%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 8.6%. მათ შორის:
 - ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 578 139.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (583 901.8 ათასი ლარი) 99.0%;
 - ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 1 496.4 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (4 000.0 ათასი ლარი) 37.4%-ია;
 - ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 50 685.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (52 157.5 ათასი ლარი) 97.2%-ს შეადგენს.
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 876 502.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 859 999.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 11.8%. მათ შორის:
 - ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 619 926.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (618 736.9 ათასი ლარი) 100.2%;
 - ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 80 562.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (81 850.7 ათასი ლარი) 98.4%-ს შეადგენს;
 - ✓ სასჯელალსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 130 834.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (143 096.1 ათასი ლარი) 91.4%-ს შეადგენს;
 - ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 28 677.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 818.4 ათასი ლარი) 87.4%-ს შეადგენს.
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1 034 071.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 907 213.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 12.4%. მათ შორის:
 - ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 16 369.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (20 484.5 ათასი ლარი) 79.9%;
 - ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 176 005.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (175 868.2 ათასი ლარი) 100.1%-ს შეადგენს;
 - ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 56 620.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (39 622.0 ათასი ლარი) 142.9%-ს შეადგენს;
 - ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 1 184.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 227.8 ათასი ლარი) 96.5%;
 - ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 515 864.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (602 268.2 ათასი ლარი) 85.7%;
 - ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 126 613.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (179 673.9 ათასი ლარი) 70.5%;
 - ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 541.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ს შეადგენს;
 - ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 14 013.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (14 385.4 ათასი ლარი) 97.4%-ს შეადგენს.

- გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 30 772.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 25 845.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0.4%. მათ შორის:
 - ✓ ნარჩენების შეგროვებაზე, გადამუშავებაზე და განადგურებაზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 447.0 ათასი ლარი, რაც წარმოადგენს დონორი ორგანიზაციის მიერ პირდაპირი ჩარიხცვის წესით დახარჯულ თანხას;
 - ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 6 874.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 909.6 ათასი ლარი) 57.7%-ს შეადგენს;
 - ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 18 523.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 862.9 ათასი ლარი) 98.2%-ს შეადგენს.

- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 78 203.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 37 755.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 48.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0.5%. მათ შორის:
 - ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 2 396.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (8 228.4 ათასი ლარი) 29.1%-ს შეადგენს;
 - ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 35 358.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (67 799.7 ათასი ლარი) 52.2%-ს შეადგენს.
 - ✓ საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დასაფინანსებლად, წლის განმავლობაში დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებელი იყო 2 175.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯი არ იყო გაწეული;

- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 684 937.7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 481 334.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 70.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 6.6%. მათ შორის:
 - ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 16 938.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (19 022.5 ათასი ლარი) 89.0%;
 - ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 93 370.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (115 972.6 ათასი ლარი) 80.5%-ს შეადგენს;
 - ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 75 172.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (79 542.7 ათასი ლარი) 94.5%;
 - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 26 385.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 291.0 ათასი ლარი) 87.1%-ს შეადგენს;
 - ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 269 467.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (440 108.9 ათასი ლარი) 61.2%-ს შეადგენს. ამასთან, GFSM-2001 საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად აღნიშნულ ფუნქციონალურ კოდში გატარებულია ჯანმრთელობის დაზღვევაზე მიმართული 239.5 მლნ ლარი;


- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 150 345.2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 144 601.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2.0%. მათ შორის:
 - ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 40 618.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (42 227.2 ათასი ლარი) 96.2%;
 - ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 73 255.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (77 363.1 ათასი ლარი) 94.7 %-ს შეადგენს;
 - ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 25 466.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 468.8 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;

- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 753.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 4 507.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 532.9 ათასი ლარი) 99.4%-ს შეადგენს.

• განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 695 719.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 682 608.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 9.3%. მათ შორის:

- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 502 896.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (515 110.4 ათასი ლარი) 97.6%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 9 311.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (9 535.9 ათასი ლარი) 97.6%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 78 827.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (74 740.5 ათასი ლარი) 105.5%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში უმაღლესის შემდგომი განათლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 000.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯი არ იყო გაწეული;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 18 991.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (19 435.6 ათასი ლარი) 97.7%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 72 581.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (75 897.0 ათასი ლარი) 95.6%-ს შეადგენს.

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1 841 088.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 816 757.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 24.8%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 4 350.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (5 222.2 ათასი ლარი) 83.3%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 149 051.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 149 110.1 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;

- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 500 589.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (512 524.8 ათასი ლარი) 97.7%;
